მანანა სანაძე

ბიბოს ზღაპრები

წიგნი II

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2018

ბებოს ზღაპრების წიგნი I, II და III განკუთვნილია დაწყებითი კლასების (6, 7, 8, 9 წლის) ბავშვებისათვის.

ამ სერიის I წიგნი გამოიცა 2017 წელს საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, რომელშიც სოფელ კიტროვანზე და მასში მცხოვრებ ხილ-ბოსტნეულის ბავშვებზე: ხახვაზე, ფორთოხალაზე, კარტოფილაზე, სტაფილუნაზე, მსხალაზე, კვახუნასა და სხვებზეა მოთხრობილი.

ბებოს ზღაპრების წინამდებარე, II წიგნი დამოუკიდებელი ზღაპრებისაგან შედგება, თუმცა პატარა მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს პირველ წიგნსაც, რომელშიც წიგნის გმირების წინა თავგადასავლები დახვდება.

გამომცემლობა 2019 წელს გამოსცემს ამავე სერიის III წიგნს, რომლის სარჩევი წიგნის ბოლოშია მოცემული.

ბებოს ზღაპრები II
ავტორი: მანანა სანაძე
რედაქტორი: მარინა ჟღენტი
მხატვარ-ილუსტრატორები:
კონსტანტინე თოფურია
(გვ. 8, 16, 17, 20, 21, 22, 24, 37),
ნინო აფციაური.
ტექნიკური რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ჯულიეტა ანდღულაძე

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018
მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო.
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-99940-50-36-9

დაიბეჭდა საქართველოში.

სარჩევი

სამართალმა პური ჭამა 1

მზესუმზირის ქურდები 26

დათვური სამსახური 47

შიშს დიდი თვალები აქვს 71

მძიმე ცვირთი 89

ქურდობა კიცროვანში 114

სამართალმა პური ჭამა

ბავშვების ზღვიდან დაბრუნებამ მთელი კიტროვანი გამოაცოცხლა.

— აქ როცა არიან, ხომ მაგათგან ყურთასმენა არაა და როცა სადმე მიდიან, მოწყენილობისაგან ლამის დავიხოცოთ, — ამბობდნენ მხცოვანი კიტროვანელები.

— მაინც როგორ მომნატრებიან ეს ცუგრუმელები, — ქოთქოთებდა ბებია კვახა და სათითაოდ იხუტებდა გულში უკან დაბრუნებულ ბავშვებს.

კიტროვანი უჩვეულოდ ფუსფუსებდა. მშობლები შვილებს საბავშვო ბაღებსა თუ სკოლებში წასასვლელად ამზადებდნენ. კიტროვანის განთქმული თერძის, ბატონი სელის სამკერვალოში ხომ დიდი რიგები იდგა: ზოგი სკოლის ფორმას უკვეთავდა, ზოგი – ახალ კაბას და ზოგიც – ახალ კოსტიუმს.

კიტროვანის საბავშვო მაღაზიებიც სავსე იყო ხალხით: მშობლები თავიანთი შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებს, ჩანთებს, სახატავ და საწერ რვეულებს, კალმისტრებსა და ფერად ფანქრებს, პლასტილინებს, ფლომასტერებს, წებოს, მუყაოს, ფერად ქაღალდებსა და ვინ იცის, კიდევ რას არ ყიდულობდნენ.

პროდუქტების მაღაზიებსაც არ აკლდა მყიდველი: დედიკო-მამიკოები ბავშვებთან ერთად ზღვიდან რომ ჩამოვიდნენ, სახლებში დაცარიელებულ მაცივრებს ხომ სჭირდებოდა დროული შევსება?

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც დაკავებული იყო კიტროვანის ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია და ფეისბუქი, ეს ბატონი ბადრიჯნის სასამართლო პროცესი იყო, რომელიც სულ რამდენიმე დღეში უნდა გამართულიყო.

დარწმუნებული ვარ, გახსოვს, მაგრამ მაინც თავს დავიზღვევ და შეგახსენებ, ჩემო პატარა მკითხველო, რომ სწორედ ბატონი

ბადრიჯანი მართავდა იმ მანქანას, რომელსაც ჩვენი პომიდორა, გაუფრთხილებლობით, ბორბლებში შეუგორდა.

— პომიდორა ხომ გადარჩა, სასამართლო რაღა საჭიროა? — ჰკითხეს სკოლის დირექტორ კომბოსტოს ერთ-ერთ შეხვედრაზე მისმა მოსწავლეებმა.

— ოო, ეს კარგი კითხვაა! — აღნიშნა კომბოსტომ და თან ხელით ვარცხნილობა შეისწორა, — ღმერთმა დაგვიფარა და ჩვენი ბიჭუნა გადარჩა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა პომიდორა დაღუპულიყო? მერე რამდენი მკურნალობა, ნემსები, სისხლის გადასხმა და წამლები დასჭირდა საწყალ პომიდორას? რამდენი ინერვიულეს მისმა მშობლებმა... ასე რომ, კანონი მოითხოვს, დადგინდეს, ბადრიჯანი დამნაშავე იყო თუ უდანაშაულო ან იქნებ ცოტათი მაინც იყო დამნაშავე? მაგალითად, მობილურზე საუბრობდა მანქანის მართვის დროს ან იქნებ, სულაც მანქანა ჰყავდა გაუმართავი და დროულად ვერ დაამუხრუჭა, ან კიდევ ნასვამი მართავდა მანქანას, რაც სასტიკად აკრძალულია, მოკლედ, ჩემო ყმაწვილებო, სიმართლე უცილობლად უნდა გაირკვეს და ამის გარკვევა კი მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. რა თქმა უნდა, ზოგ არადემოკრატიულ ქვეყანაში, იქ, სადაც ველური ხილ-ბოსტნეული ცხოვრობს, — მედიდურად და გაბღენძით დაამატა კომბოსტომ, — სიმართლეს ჩხუბითა და ცემა-ტყეპით არკვევენ, მაგრამ ეს რაღა სიმართლის

ეფრაიმი

გარკვევაა? ასე ხომ მხოლოდ უფრო ღონიერი გამოვლინდება და არა მართალი! ჩვენ, კიტროვანელები, იმ დემოკრატიულ ხალხს, და, რაც მთავარია, კულტურულ ხილ-ბოსტნეულს ვეკუთვნით, სადაც მტყუან-მართალი სასამართლოში დგინდება და არა – მუშტი-კრივში, – ეს ბოლო ფრაზა კომბოსტომ ისეთი სიამაყით წარმოთქვა და თანაც ისე გაიშალა მხრებში, გეგონებოდათ, სიმაღლეშიც კი მოიმატაო.

– ნეტავი ბატონი ბადრიჯანი როგორ არის, როგორ ემზადება სასამართლო პროცესისათვის, ვინ იცის, როგორ ნერვიულობენ ქალბატონი ბადრიჯანი და მისი ტყუპი ქალ-ვაჟი: ბადრიჯუნა და ბადრიჯინა? – ჰკითხა დედიკო კარტოფილმა ქალბატონ ბროკოლს, როცა მეზობლები, სუპერმარკეტში შემთხვევით შეხვედრის შემდეგ, სახლებში ერთად ბრუნდებოდნენ.

დედიკო კარტოფილი, როგორც ჩანს, თვლიდა, რომ ქალ-ბატონ ბროკოლს მის შეკითხვაზე პასუხი უნდა ჰქონოდა, რადგან ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ქალბატონი ბროკოლი ბადრიჯნების ოჯახთან მეგობრობდა.

– აქეთ, მარკეტში წამოსვლამდე, კაფე „ჟოლოში“ საქმიანი შეხვედრა მქონდა, – დაიწყო ქალბატონმა ბროკოლმა... – ამ დროს კაფეში ბატონი ბადრიჯანი შემოვიდა ბატონ ბანანთან ერთად! ალბათ იცით, რომ ბატონი ბანანი მისი ადვოკატია, არა?! – მიუბრუნდა ქალბატონი ბროკოლი კარტოფილს.

— ვინ არ იცის, — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა კარტოფილმა. — თანაც, როგორც მითხრეს, თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატია, ამბობენ, ჯერ საქმე არ წაუგიაო!

— ჰოდა, — გააგრძელა ქალბატონმა ბროკოლმა, — ბატონი ბადრიჯანიც ფრიად იმედიანად გამოიყურებოდა. ჩემს შეკითხვაზე, საქმე როგორ არის-მეთქი — ადვოკატმა მხნედ მიპასუხა — ნუ ღელავთ, ქალბატონო, სიმართლე ჩვენს მხარესაა და ყველაფერი კარგად დასრულდებაო. მართალი გითხრათ, ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, ხომ იცით, სულ ახლახან დავბრუნდი კიტროვანში და იმდენი საქმე დამხვდა, რომ ბადრიჯნებთან მისასვლელად ვერ მოვიცალე. ასეთ ამბებზე კი ტელეფონით არ საუბრობენ! — აღნიშნა ქალბატონმა ბროკოლმა.

— ეს ავთოს კვატი რაღა არის?! — გაოცდა ბროკოლა, რომელიც დედიკოს გვერდით მოჰყვებოდა და უფროსების საუბრის მოსმენას დიდი მონდომებით ცდილობდა. საქმე ისაა, რომ ქალბატონები პატარა ბროკოლაზე იმდენად მაღლები იყვნენ და თანაც ისე დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, რომ, დიდი გულისყურისდა მიუხედავად, ჩვენს ბიჭუნას სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა. — სახლში როცა მივალთ, დედიკოს ვკითხავ, არ დამავიწყდეს, — გაიფიქრა მან.

— დე, დე, ავთოს კვატი რას ნიშნავს? — იკითხა ბროკოლამ,

როგორც კი დედიკო ქალბატონ კარტოფილს გამოემშვიდობა და სახლში შევიდნენ.

— რა ავთოს კვატი, გენაცვალე? — დაიბნა დედიკო ბროკოლი.

— აი, შენ და ქალბატონი კარტოფილი რომ საუბრობდით და შენ რომ თქვი ბატონი ბადრიჯანი და მისი ავთოს კვატი ვნახეო?

— ხა, ხა, ხა, — გულით გადაიხარხარა დედიკო ბროკოლმა, უჰ, რამდენი მაცინე! ეს რა მოიგონე, როგორ თქვი — ავთოს კვატი? ნამდვილი გენიოსი მყავხარ, უნდა ჩავიწერო, არ დამავიწყდეს, მამიკო სამსახურიდან რომ მოვა, გავამხიარულოთ. — ხა, ხა, ხა — სიცილს ვერ იკავებდა დედა.

— კი მაგრამ, მაინც ვინ არის? ვერ ისვენებდა დედიკოს ასეთი რეაქციით ცოტა არ იყოს დარცხვენილი და მთლად გამწვანებული ბროკოლა.

— ავთოს კვატი კი არა ადვოკატი, აბა, გაიმეორე! — უთხრა დედიკომ და სიცილისაგან თვალებიდან უხვად გადმოყრილი მწვანე ცრემლები ცხვირსახოცით შეიწმინდა.

— ადვოკატი. კარგი და ადვოკატი ვინღაა? — ჯიუტად ითხოვდა პასუხს ბიჭუნა.

— ასე კანონების კარგად მცოდნეს უწოდებენ, რომელიც სასამართლოზე ადამიანებს იცავს, რათა ისინი ტყუილუბრალოდ არ გაამტყუნონ და უდანაშაულოდ ციხეში არ ჩასვან.

— კი, მაგრამ უდანაშაულო კაცი ციხეში რატომ უნდა ჩასვან? — იკითხა ცოტა არ იყოს შეშინებულმა ბროკოლამ.

— უდანაშაულოს ციხეში არავინ ჩასვამს, მაგრამ ადამიანმა ხომ უნდა დაამტკიცოს, სხვებსაც უჩვენოს თავისი უდანაშაულობა. აბა, ისე ვინ რა იცის? ამაში მას ადვოკატი ეხმარება.

— ააა, აი, რაში ყოფილა საქმე?! — გაიფიქრა ბროკოლამ, თუმცა კარგად მაინც ვერ გაიგო, თუ მას ჩუმად ქილიდან მურაბა არ შეუჭამია ან საყვავილე არ გაუტეხავს, ან წიგნიდან ფურცელი არ ამოუხევია, მოკლედ, თუ არაფერი დაუშავებია, ასეთ დროს სიმართლის დამტკიცებას ადვოკატი რაში სჭირდება? და თუ მოიტყუა, ადვოკატი რას უშველის? ვაი, რომ თოვლის პაპა საჩუქარს აღარ მოუტანს!

და ბროკოლას გაახსენდა, როგორ შესანსლა მთელი ქილა კაკლის მურაბა, მერე როგორ ასტკივდა მუცელი, მაგრამ თავისი საქციელი არა და არ აღიარა. მერე, მერე რა მოხდა? რა მოხდა და თოვლის პაპამ საჩუქარი არ მოუტანა. ან საიდან გაიგო, ნეტავი? დედამ თქვა, ალბათ, ჩიტმა თუ მიუტანა ამბავიო. ასე იყო თუ ისე, ის ახალი წელი სულ ჩამწარდა ბროკოლას! ეჰ, ბროკოლას რომ სცოდნოდა, რომ ტყუილის თქმის გამო თოვლის პაპა საჩუქარს არ მოუტანდა, ნამდვილად

არ იცრუებდა და თავის ჩადენილს აღიარებდა ან სულაც არ შეჭამდა იმ ოხერ მურაბას. მართალია, დედ-მამამ საახალწლო საჩუქარი ბროკოლას მერე მაინც უყიდა, მაგრამ სად თოვლის პაპის მოტანილი და სად კიტროვან მოლში ნაყიდი!

ალბათ, დიდებს სჭირდებათ ადვოკატი! ეჰ, იმათთვის ხომ თოვლის პაპას საჩუქარი აღარ მოაქვს, – გაიფიქრა ბიჭუნამ.

მეორე დღეს სასამართლო დარბაზში ტევა არ იყო. მთელი კიტროვანი პროცესზე დასასწრებად მოსულიყო. ბავშვები პომიდორას გულშემატკივრობდნენ – რომელმაც მეგობრებს უთხრა, რომ სასამართლოზე მასაც მისცემდნენ სიტყვას.

ბროკოლა დედიკოს მუხლებზე ეჯდა, რადგან სხვანაირად ბევრად უფრო წინ მსხდომ პომიდორას, ბატონ ბადრიჯანს და მის ადვოკატს, ბატონ ბანანს და, რაც მთავარია, დარბაზის სულ, სულ ბოლოში მაღალ სკამზე შემომჯდარ მოსამართლე მსხალს ვერ დაინახავდა.

როგორც დედიკოსაგან გაიგო ბროკოლამ, სწორედ მოსამართლე მსხალს, ყველას მოსმენისა და მოწმეების დაკითხვის შემდეგ, უნდა გადაეწყვიტა დამნაშავე იყო თუ არა ბადრიჯანი, თუ დამნაშავე არ იყო, გაემართლებინა და მის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეეწყვიტა.

მოსამართლე მსხალი ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. მისი სწორი, ოქროსფერი თმები სადღაც გამქრალიყო და თავს ხვეული თეთრი თმები უმშვენებდა. თანაც კოსტიუმის ნაცვლად გრძელი, ფართო და შავი ფერის კაბა-ხალათი ეცვა. როგორც დედიკოსაგან შეიტყო ბროკოლამ, ასეთი ყოფილა თურმე მოსამართლეების საგანგებო სამოსი.

საუბარი ბატონმა წიწაკამ დაიწყო, რომელიც მწვანე კოსტიუმში გამოწყობილი ძალზე გრძელი და გამხდარი კაცი გახლდათ. წიწაკა სულ ცხარობდა და ხშირად იმეორებდა სიტყვა „დამნაშავეს“.

თანაც ეს დამნაშავე ყოველთვის, რატომღაც, ბატონი ბადრიჯანი იყო. ბროკოლა ამან ძალზე გააკვირვა, რადგან აქამდე იცოდა, რომ პომიდორა იყო ყველაფერში დამნაშავე, მან გადაირბინა ქუჩა წითელ შუქზე!

— ბატონი წიწაკა ბადრიჯანზე რატომ ბრაზობს? — ჩუმად შეეკითხა დედიკოს ბროკოლა.

— ბატონი წიწაკა პროკურორია. მისი ვალია მოსამართლეს აჩვენოს, თუ რამდენად დამნაშავეა ბადრიჯანი. ამისათვის ის ძალ-ღონეს არ დაიშურებს. აი, ბატონი ბანანი კი, ბადრიჯნის ადვოკატი, შეეცდება მისი ნათქვამი გააბათილოს და ბადრიჯნის უდანაშაულობა დაამტკიცოს. ახლა ადვოკატი და პროკურორი ერთმანეთში იპაექრებენ, ვინც უფრო დაარწმუნებს მოსამართლე მსხალს, გამარჯვებაც მას დარჩება!

გამარჯვებისათვის ერთმანეთის ცემა-ტყეპაზე ხომ არ გადავ-ლენ? — იკითხა ცოტა არ იყოს შეშინებულმა ბროკოლამ, იცი, დირექტორმა კომბოსტომ გვითხრა, რომ ჭიდაობით და ცემა-ტყეპით მარტო ველური ხილ-ბოსტნეული ცდილობს დაამტკიცოს თავისი სიმართლეო — ჩვენ, კიტროვანელები, ველურები ხომ არ ვართ?

— არა, რა თქმა უდა, — შეიცხადა ქალბატონმა ბროკოლმა, — ჩვენ კულტურული ხილ-ბოსტნეული ვართ, — როცა ვამბობ

პაექრობას, აქ სიტყვით შეჭიდებას ვგულისხმობ, გამარჯვება კი მას დარჩება, ვინც უფრო დამაჯერებლად დაგვისაბუთებს თავის სათქმელს.

— კი მაგრამ, დედიკო, ასე ხომ შეიძლება მართალიც დაიჩაგროს? — იკითხა დაეჭვებით ბროკოლამ.

— იშვიათად, ძალზე იშვიათად ასეც შეიძლება მოხდეს, მაგრამ, როგორც წესი, პირიქით ხდება. აი, შენც დაფიქრდი, როცა მართალს ამბობ, მისი დამტკიცება ხომ ბევრად უფრო გიიოლდება, ვიდრე ტყუილის? ტყუილი, ხომ იცი, ზღაპარში იმ მელიისა არ იყოს, თვითონ რომ იმალება და კუდი მოუჩანს, არა, არა და სადღაც მაინც გამომჟღავნდება.

— თუ შეიძლება, ქალბატონო, მოგვასმენინეთ ადვოკატის სიტყვა, ჩვენ აქ მოსასმენად ვართ მოსულები და არა სალაზღანდაროდ! — აღშფოთდა ქალბატონი მანდარინი, რომელიც თავისი მანდარინისფრად შეღებილი თმებით, მზესავით ანათებდა დარბაზში.

დედიკო ბროკოლი შეცბა, ბოდიში მოიხადა და ბროკოლას თითით ანიშნა — ჩჩჩ...

— ახლა მოწმეების დაკითხვაზე გადავდივართ, — აღნიშნა მოსამართლე მსხალმა.

თავდაპირველად დარბაზში, მოწმედ, ქალბატონი ხახვი შემოვიდა, ამაღლებულ მაგიდასთან მივიდა, იქ სქელ წიგნს ხელი დაადო და – ვფიცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს და მხოლოდ სიმართლესო, – საზეიმოდ განაცხადა.

მე დედიკო-მამიკოს და ხანდახან ჩემს დაიკო ბროკოლუნას ვიფიცებ ხოლმე და ქალბატონი ხახვი კი წიგნზე ხელის დადებით იფიცებს... დედიკოს უნდა ვკითხო, ეს როგორი დაფიცებაა – გაიფიქრა ბროკოლამ, რომელმაც ქალბატონი მანდარინის გაბრაზების შიშით – თავისი შეკითხვა მომავლისათვის გადადო.

ქალბატონი ხახვი მოჰყვა, თუ როგორ დაინახა ბატონი ბადრიჯნის მანქანა, შემდეგ კი პატარა პომიდორა მანქანის ბორბლებში. – ყურებში ახლაც მესმის საწყალი პომიდორას კივილი – დაასრულა ცრემლმორეულმა ქალბატონმა ხახვმა.

მერე მოსამართლე მსხალმა ჩვენს პატარა პომიდორასაც დაუსვა კითხვა – აბა, გაიხსენე, რა ფერის შუქი ენთო შუქნიშანზეო. – წითელი, წითელი, – სწრაფად დაიწყო პომიდორამ. – საერთოდ ყველაფერი ჩემი ბრალია, არ შეიძლება წითელზე გადარბენა... უცებ, პამიდორას ის საშინელი წუთები ისე ცოცხლად დაუდგა თვალწინ, რომ ხმა აუკანკალდა, გული ამოუჯდა და ცრემლები გადმოყარა.

სულ ბოლოს პოლიციელ მუხუდოს დაუძახეს. მუხუდო მოჰყვა, როგორ გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, როგორ ჩაუტარა ბიჭუნას ექიმების მოსვლამდე ხელოვნური სუნთქვა...

ახლა, კვლავ პროკურორი წიწაკა ალაპარაკდა – მართალია, ბიჭუნა წითელ შუქზე გადარბოდა, მაგრამ ბატონი ბადრიჯანი მეტი ყურადღებით უნდა ყოფილიყო, ის ხომ სკოლის წინ მოძრაობდა – აპილპილებული ცხარობდა წიწაკა, რომელსაც ისედაც მოწითალო სახე დაძაბულობისაგან სულ მთლად გასწითლებოდა.

– რას ბრძანებთ, პირდაპირ სასაცილოა თქვენი ნათქვამი. – იცავდა ბადრიჯანს ადვოკატი ბანანი. – როგორც ხედავთ, ბატონო მოსამართლევ, ყველა მოწმე, მათ შორის თავად პომიდორა ადასტურებს, რომ ბადრიჯნის გზა იყო, ის მწვანე შუქზე, ძალზე ნელა მოძრაობდა, სწორედ ისე, როგორც უნდა ემოძრავა მძღოლს სკოლის წინ, ასე რომ, ბატონი პროკურორის განცხადება სრულიად უადგილოა და არ არის ანგარიშგასაწევი! – დაასრულა თავისი სიტყვა ბანანმა.

– ხა,ხა,ხა! – წამოიძახა კვლავაც პროკურორმა წიწაკამ, – განა, ბატონო მოსამართელევ, თქვენ წამოეგებით ადვოკატის ამ ფანდზე? ბატონმა ადვოკატმა ლამის საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ მანქანა კი არ დაეჯახა ბიჭუნას, არამედ თვითონ ბიჭუნა დაეჯახა მანქანას! – აუწია ხმას წიწაკამ და თანაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, საჩვენებელი თითი მაღლა ასწია.

მოსამართლე მსხალი ადგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავისი გადაწყვეტილება დარბაზისათვის უნდა ეცნობებინა. ამით ადვოკატ ბანანისა და პროკურორ წიწაკის პაექრობაც დასრულდა. დარბაზი ისე გაიტრუნა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი, ყველა სულმოუთქმელად ელოდა მოსამართლე მსხლის განაჩენს.

მსხალმაც ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით დაიწყო:
პომიდორა დამნაშავეა — ის წითელ
შუქზე გადარბოდა. ვითვალისწინებ
იმას, რომ ბიჭუნა ძალზე
პატარაა და თანაც საკმაოდ
დაისაჯა მანქანის ბორბ-
ლებში მოხვედრით, ასე
რომ, მეტად მისი
დასჯა საჭიროდ
არ მიმაჩნია,
ეს მისთვის ისედაც
კარგი გაკვეთილი
იქნება სამომავლოდ!

რაც შეეხება
ბატონ ბადრიჯანს,
ის ნელა მოძრაობდა, ისე,
როგორც უნდა
იმოძრაოს მანქანამ სკოლის წინ,
გზაც მისი იყო, ამიტომ მე,
გამითავისუფლებია ბატონი ბადრიჯანი

ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება! – დაასრულა მსხალმა და დამსწრე საზოგადოების ტაშის გრიალში დარბაზიდან გავიდა.

ადვოკატმა ბანანმა შვებით ამოისუნთქა – მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამართლდა! სასამართლო დარბაზიდან გამოსვლისას ბროკოლამ ყური მოჰკრა, ბატონი ხახვი როგორ ეუბნებოდა თავის ცოლს, ქალბატონ ხახვს:

– სულ ტყუილა ნერვიულობდი, ბატონი მსხალი ჭკვიანი და გამოცდილი მოსამართლეა და მისი განაჩენი ყოველთვის სამართლიანია. ხომ ხედავ, ამჯერადაც სამართალმა პური ჭამა.

– დე, დე, სამართალმა პური ჭამაო, ასე თქვეს და მე კი თვალი ვერ მოვკარი როგორ ჭამა, იცი, როცა ბატონი წიწაკა დგებოდა და საუბრობდა, მე მეფარებოდა და რა ხდებოდა ველარ ვხედავდი, – უთხრა დედიკოს ბროკოლამ.

ეს არც არავის დაუნახავს, – გაეცინა დედიკოს. უბრალოდ, ასეთი გამოთქმაა. როცა სიმართლე იმარჯვებს, ამბობენ – სამართალმა პური ჭამაო.